სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 475
(ოქმი № 422)

თბილისი 2020 წლის 21 მაისი

საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის (გარე აუდიტის) დანიშვნასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2020 წლის №472 გადაწყვეტილებით (ოქმი №421) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2019 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2020 წლის 5 მაისს №472 გადაწყვეტილებით (ოქმი №421) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანიად გამოვლინდეს, სს „ფი ქეი ეფ კაიზენი", რომელსაც დაევალოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა 2020 წლის 10 ივლისამდე;
2. დაევალოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს, წინამდებარე გადაწყვეტილების 1-ელ პუნქტში აღნიშნულ კომპანიასთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:
ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

მიხეილ ჩიკვილაძე